

პროექტმა – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (ელექტრონული ვერსია) – გაიმარჯვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) ელექტრონული ლექსიკონების კონკურსში. საკონკურსოდ იგი წარადგინა „ენის მოდელირების ასოციაციამ“.

ლექსიკონში გამახვილებულია ყურადღება მართლწერის ნორმებთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა ძირითად ფონეტიკურ-მორფოლოგიურ პრობლემაზე, ყურადღება მიექცა უცხოური ენებიდან შემოსული სიტყვების მართლწერას, საკუთარ სახელებს, დიალექტიზმებს, ბარბარიზმებს...

ლექსიკონის სტრუქტურა. მასალის წარმოდგენის პრინციპები

ლექსიკონი მცდარ და მართებულ ფორმებს წარმოგვიდგენს. ერთ სვეტში მცდარი ფორმებია, მეორეში – შესაბამისი მართებული და პირიქით: შეგვიძლია ჯერ მართებულ ვარიანტს გავეცნოთ, მის გასწვრივ კი შესაძლო მცდარი ფორმა გვეჩვენება.

გაკეთდა როგორც საინტერნეტო, ისე ლოკალური ვერსია. ნებისმიერ მსურველს აქვს საშუალება გადმოიწეროს თავის კომპიუტერში ლოკალური ვერსია და ისარგებლოს ამ საკმაოდ მარტივი და, ამასთან, ეფექტური სერვისით.

ლექსიკონი მოცულობის თვალსაზრისით საკმაოდ შთამბეჭდავია; სულ აქ წარმოდგენილია **170 ათასზე მეტი ერთეული**. ბუნებრივია, ეს რაოდენობა მხოლოდ მცდარ ფორმათა ვარიაციების ხარჯზე არ დაგროვებულა. სერიოზულად ვიმუშავებთ ახალი ლექსიკური ერთეულების მოძიებაზე, დავამუშავებთ არსებული ლექსიკონები, გამოვიყენებთ ინტერნეტრესურსები.

მასალის დალაგების უმთავრეს პრინციპად და საკლასიფიკაციო ნიშნად ავიღეთ ფორმათა **მართებულობა-უმართებულობა**.

აქედან გამომდინარე, საპრეგნენტაციო ერთეულებს სტაბილურად განსაზღვრული ერთი ფორმა არა აქვს.

სახელებისთვის საპრეგნენტაციოა **სახელობითი ბრუნვის მხოლობითი რიცხვის ფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში**, თუ ამ (ე. ი. ზოგადად ამოსავალ) ფორმაში მოსალოდნელია შეცდომის დაშვება (მაგ., **საშვალო – საშუალო, პაკტი – პაქტი...**); აქვე წარმოდგენილია **ვითარებითის** მცდარი და მართებული ფორმები (**საშუალოთ – საშუალოდ, პაქტათ – პაქტად...**); სხვა შემთხვევაში (და ძირითადად) პირდაპირ **ვითარებითი ბრუნვაა** გამოტანილი.

რატომ ვითარებითი? – იმიტომ, რომ:

ა) ვითარებითი ბრუნვის -ად/დ ნიშნის ნაცვლად ხშირია -ათ/-თ (ეს ისეთივე ტიპობრივი და დამახასიათებელი შეცდომაა, როგორცაა, ვთქვათ, კაუზატიური **ანერიებს** (ნაცვლად **ანერინებს** ფორმისა) ან პირის ნიშნის კლება (**მოწონს**) თუ

მატება (**შესძლო**). ანუ: ეს არის დამახასიათებელი და მასობრივად გავრცელებული უზუსტობა.

ბ) ვითარებითი ერთ-ერთი ის ბრუნვაა, სადაც ხდება **ფუძის კუმშვა**, – ამდენად ფუძეკუმშვადობის თუ უკუმშველობის საილუსტრაციოდ არ დაგვჭირდება დამატებით **ნათესაობითი** ბრუნვის ფორმათა ჩვენება (ვითარებითი ითავსებს ამ ფუნქციას).

ნათესაობითი ბრუნვა აქტუალურია ხმოვანფუძიანი სახელებისთვის, – მხოლოდ ამ დროსაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ჭირს გარკვევა: **კვეცადია სიტყვა** თუ **უკვეცელი** (უნდა ითქვას, რომ არცთუ იშვიათად ეს არც ისე მარტივად გადასანწყვეტი საკითხია).

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ყველა ხმოვანფუძიანი სახელის წარმოდგენა ნათესაობითში, მაგრამ მაშინ მომხმარებლისთვის უნდა „გვესწავლებინა“, რომ, ვთქვათ, **მინასთვის, დასთვის ან მინას გამო, დას გამო** უმართებულოა, ხოლო მართებული – **მინისთვის, დისთვის და მინის გამო, დის გამო**. ამ გზით რომ წავსულიყავით, სადემონსტრაციოდ წარმოდგენილი სახელური ფორმების რაოდენობა **არააქტუალური მასალის** ხარჯზე გაიზრდებოდა.

აქცენტი კეთდება **წოდებითზეც**, – იმ შემთხვევაში, თუ სახელის ფუძე ვ-ზე თავდება (წესის მიხედვით წოდებითის -ო ნიშნის წინ ეს ვ არ უნდა დაიკარგოს).

ამ წესზე ყურადღება მახვილდება თოფურია-გიგინეიშვილის ორთოგრაფიულ ლექსიკონში (**შემდგომში ამ ნაშრომს მოვიხსენიებთ, როგორც „ორთოგრაფიულ ლექსიკონს“**), თუმცა ხანდახან რატომღაც ასეთი ფორმებზეც კეთდება აქცენტი: ძიაკაცი (წოდ. **ძიაკაცო**), ჩიტებო; ჩიორებო, ნაშვილები (**ნაშვილებო**).

საპრეზენტაციო ერთეულების წარმოდგენისას თავდაპირველად ვაპირებდით სისტემურად გამოგვეყენებინა ფორმულები: „**კი არა**“ (როდესაც სწორი ფორმა გამოდის საპრეზენტაციოდ) და „**და არა**“ (როდესაც საპრეზენტაციო ერთეულად მცდარი ფორმაა); მაგალითად: „**ალბათ და არა ალბად**“, ერთი მხრივ, და „**ალბად კი არა ალბათ**“, მეორე მხრივ (ორთოგრაფიულ ლექსიკონში მასალის ნაწილი სწორედ ასეა წარმოდგენილი). მერე ჩავთვალეთ, რომ ეს ჩვენი ლექსიკონისთვის ზედმეტი იყო იმდენად, რამდენადაც დაუშვებელ ფორმაზე მითითების ფუნქცია აქ ავტომატურად აქვს წითელ ფერს, ხოლო შავი ფერით მართებული ფორმებია წარმოდგენილი, ფერებით მანიპულირებისა და სვეტის თავში წარმოდგენილი მითითების (**სწორია – არასწორია ან პირიქით**) შემდეგ მოვერიდეთ მასალის გადატვირთვას, ერთგვარ ფუნქციურ ღუბლირებას.

მოსალოდნელი გრამატიკული სირთულის გათვალისწინებით შეირჩა საპრეზენტაციოდ აწმყოს მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმები ზმნებშიც: სწორია **აკეთებს**, არასწორია **აკეთებს...**

ყურადღება გამახვილდა იმ ფორმებზე, რომლებიც პარადიგმის რომელიმე სეგმენტში ავლენენ თავისებურებას: პირველ-მეორე პირზე გავაკეთეთ აქცენტი, ვთქვათ **ყვირივარ, ყვირიხარ** ტიპის ზმნებში – აქ მესამე პირის ფორმა აღარ არის საინტერესო (შდრ. ორთ.: **ყვირის; ყვიროდა (იყვირა, უყვირია)** – **ყვირის** ფორმას სხვანაირად არავინ წერს).

შესავალ ნაწილში, სადაც ორთოგრაფიული ლექსიკონის აგებულებას ვეცნობით, ნათქვამია:

„ისეთი სიტყვები, რომელთა დანეროლობისას სხვადასხვაობა არ იჩენს თავს, ან შეცდომა არავის მოსდის, რა თქმა უნდა, ლექსიკონში არ შედის. მაგრამ რადგანაც ლექსიკონის დანიშნულებას საერთოდ დანეროლობის საქმის მოგვარება წარმოადგენს, მასში შევიდა აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ტერმინები, სასაუბრო ენისა და კუთხური ლექსიკონის ნიმუშები, ძველი ან მოძველებული სიტყვები, რომლებიც გვხვდება ძველსა თუ ახალ მხატვრულ და სპეციალურ ლიტერატურაში და რომელთა დანეროლობის მონეროგება აუცილებელია. ასეთ სიტყვებს სტილისტიკური დახასიათებაც ახლავს: ძვ., საუბ., მოძვ., ისტ., კუთხ... ასეთებია, მაგალითად, არგასანყვეტო საუბ., არგანი ძვ., ათგირვანქიანი ძვ. და სხვ.“ [11]

„ლექსიკონი ორთოგრაფიულია, ე. ი. მასში წარმოდგენილი სიტყვებისა და მათი ფორმების ერთიანი, მართებულიად მიჩნეული დანეროლობა. ამდენად, ბუნებრივია, მასში არაა მოცემული სიტყვათა მნიშვნელობები. მაინც ზოგჯერ ლექსიკონში მნიშვნელობაზე მითითებაც გვხვდება. ეს მაშინ, როცა ან ომონიმებთან გვაქვს საქმე, რომელთა ფორმაცვალებაც სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, ან კიდევ მსგავსი სიტყვებია, რომლებსაც ხშირად ერთმანეთისგან ძნელად არჩევენ...“ [11]

„თუ ლექსიკონში შეტანილ თანხმოდგენიდან სახელს ფრჩხილებში ნათესაობითი ბრუნვის ფორმა არ ახლავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სახელს ფუძე არ ეკუთმება. მაგრამ ზოგიერთ ასეთ სახელს განზრახ აქვს მიწერილი ნათესაობითი ბრუნვის შეუკუმშავი ფორმა: ანბანი (ანბანისა), ფრინველი (ფრინველისა), ცხოველი (ცხოველისა)...“ [13].

„ხმოდგენიდან ა-ზე და ე-ზე დაბოლოებულ სახელებს, რომელთაც ბოლოკიდური ა და ე არ ეკვეცებათ, ფრჩხილებში მიწერილი აქვთ ნათესაობითის ფორმები, ასე: ენძელა (ნათ. ენძელას), კათანდარა (ნათ. კათანდარას), ბაქია (ნათ. ბაქიას)... თუ ა-ზე და ე-ზე გათავებული სახელების ბრუნვის ფორმები არაა ნაჩვენები, ივარაუდება, რომ ისინი ფუძეკვეცადები არიან: მელიოღია, დამბაჩა, საპირისნამლე, მესაფლავე, მემატიანე. ზოგჯერ მაინც განზრახ ნათესაობითი ბრუნვის ფორმაცაა ნაჩვენები: ბელურა (ბელურისა, ბელურები)...“ [13].

ამგვარი მიდგომის შედეგია ის, რომ ორთოგრაფიული ლექსიკონი თანამიმდევრულობისა და სიმწყობრის თვალსაზრისით აშკარად ტოვებს უკმარისობის გრძობას.

ლექსიკონში ბევრია არაპრობლემატური მასალა: აბარგება, აბარგებული, არღვევს, აცლის, ბანაკი, ბანანი, ბანგი, ბანდა, ბანდიტი, ბანკეტი, ბანკი, ბარგი, დღეს, დუმილი, დუმს, დრაკონი, ეკრანი, განაზება, განაზებული და სხვა.

მეორე მხრივ, საკმაოდ ხშირად მომხმარებელი ვერ პოულობს საჭირო ინფორმაციას ფორმათა მართებული დანეროლობის შესახებ.

ხშირად სწორ ფორმას ვერ ვპოულობთ, ვერ გვაკვალიანებს ლექსიკონი; მაგ.:

აჯანყდება; აჯანყდა; აჯანყებულა – ამას წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი ორთოგრაფიული ლექსიკონის გარეშეც გაართმევს თავს, მაგრამ შეიძლება ის დაიბნეს პირველი პირის წარმოებისას, რომელია სწორი ფორმა – **აჯანყებულვარ** თუ **აჯანყებულვარ**.

ბარაქა ----- კვეცადია? უკვეცელია?

გავიალი ზოოლ. – საკვალიფიკაციო მითითებაზე საჭირო მომხმარებლისთვის არის ინფორმაცია იმის შესახებ, ეს სიტყვა თანხმოდანფუძიანია თუ ი-ფუძიანი.

ორთოგრაფიულ ლექსიკონში ხშირია არასისტემურობის გამოვლინება, როდესაც, ვთქვათ, წარმოდგენილია მასდარი და არ არის შესაბამისი მიმღობური ფორმა და პირიქით; ან არის, ვთქვათ, ხელობის მქონე ადამიანის სახელი და არ არის თვით ხელობისა თუ აბსტრაქტულობის გამომხატველი სახელი და სხვ. – ამ შემთხვევაში გაჭირდება იმის მტკიცება, რომ ერთი მეორეზე უფრო მეტად ან ნაკლებად აქტუალურია მართლწერის თვალსაზრისით; ნიმუშები:

არის

გაბრუნებული

გაბრძანება

გაგულება

გადაბრალება

გადადუღებული

გადაკიდებული

გადანერგილი

გადაპარული

გადაპრეხილი

გადახატული

არ არის

გაბრუნება

გაბრძანებული

გაგულებული

გადაბრალებული

გადადუღება

გადაკიდება

გადანერგვა

გადაპარვა

გადაპრეხა

გადახატვა...

კოსმონავტი

ბიოლოგი

ფეხბურთელი

ფრენბურთელი

ჰოკეისტი

კოსმონავტობა

ბიოლოგობა

ფეხბურთელობა

ფრენბურთელობა

ჰოკეისტობა

როგორ ვმუშაობთ ამ ტიპის მასალასთან?

სახელებს (ბრუნებად სიტყვებს), რაც არ უნდა არაპრობლემური იყოს მისი ამოსავალი ფორმის დაწერილობა, ჩვენს ფორმატში ადვილად ვაქცევთ; მაგ.: ამოსავალ ფორმაში სხვადასხვაობა არ გვაქვს შემდეგი სიტყვების დაწერილობისას: **აბარგება, აბარგებული, ბანაკი, ბანანი, გადახატვა** და ა. შ. ამ და ბევრ (ალბათ ათასობით) ასეთ სიტყვას არ ვკარგავთ,

აქტუალურობის ფორმას ვუძებნით და საერთო სისტემაში ვუჩენთ ადგილს – უმართებულო ფორმათა რიგში წავა: **აბარგებათ, აბარგებულათ, ბანაკათ, ბანანათ, გადახატვათ** და ა. შ. მათ გვერდით, ბუნებრივია, მართებული ფორმები იქნება წარმოდგენილი.

ვერაფერს ვუხერხებთ ზმნების ნაწილს – მათი ფორმების დაწერილობისას სხვადასხვაობა არ იჩენს თავს; ყოველ შემთხვევაში, ძნელია წარმოდგენა, კიდევ რა ფორმით შეიძლება შეგვხვდეს ორთოგრაფიულ ლექსიკონში დემონსტრირებული **არღვევს, აცლის, ელაგა, მაჰატიე, მაცალე...** ან ვის უნდა ვასწავლოთ ეს: **ვარ მე, ხარ შენ, არის ის, შეიტანს ის, შეიტანენ ისინი, ქალი და კაცი, ქართველი ქალი, პოეტი ქალი, მწერალი ქალი, კოლმეურნე ქალი...**

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ლექსიკონის უმთავრესი პრინციპი რეალურად არის ისეთი მასალის სისტემატიზება და სწორედ მასალის ისეთი სახით სისტემატიზებაა, რომელიც წარმოაჩენს მეტ-ნაკლებად აქტუალურ ფორმებს ორთოგრაფიის თვალსაზრისით. **არააქტუალური მასალა აქ პრაქტიკულად არც შეიძლება შეგვხვდეს, რადგან ყველა სწორი ფორმისთვის მითითებულია მცდარი ფორმა და პირიქით.**

ვითარებითი ბრუნვა, პრაქტიკულად, ყველა ბრუნვად სიტყვას აქვს, ამდენად, ლექსიკონში წარმოდგენილი იქნება პრაქტიკულად ყველა **ბრუნებადი** სიტყვა, რაც გამოცემულ ლექსიკონებსა და ინტერნეტწყაროებში მოვიძიეთ.

რის ხარჯზეა ლექსიკური ფონდი სოლიდური? არამხოლოდ არასწორ ფორმათა ვარიაციების ილუსტრირებით; მით უმეტეს, რომ:

არა გვაქვს არაპრობლემატური:

1. სათავისოს ფორმები
2. ვნებითის ფორმები
3. მყოფადის ფორმები
4. სხვადასხვა პირის ფორმები
5. სხვადასხვა ბრუნვის ფორმები (ჩვეულებრივ, სახ. ბრ.; ხან ნათ., ხან ვით., ხან მოქმ.).
6. არა გვაქვს დუბლირება: ფორმულირება [კი არა] რომელიც შემდეგ მეორდება (წესით, ყოველვის უნდა მეორდებოდეს [და არა] სახით;

გვაქვს:

1. სახელები ვით. ბრუნვის ფორმით + საკუთრივ ამოსავალშივე პრობლემატური (მართლწერის თვალსაზრისით) ფორმები: ეპილეფსია – ეპილეფსია, ეპილეფსიათ – ეპილეფსიად...
2. კაუზატივები (ეს მასალა ორთ.-შიც არის, მაგრამ ჩვენთან უფრო სისტემურად და სრულადაა წარმოდგენილი);
3. მაქსიმალურად ვიყენებთ შიდა დერივაციულ რესურსებს: კაცი – კაცობა – კაცური...
4. მაქსიმალურად ვიყენებთ ტექნიკურ ტერმინოლოგიას, ენციკლოპედიებს, ინტერნეტრესურსებს.

ტრადიციულ ორთოგრაფიულ ლექსიკონთან მიმართების საკითხი

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორია მიმართება ტრადიციულ (თოფურია-გიგინეიშვილის) ორთოგრაფიულ ლექსიკონსა და ჩვენ მიერ წარმოდგენილ ელექტრონულ ლექსიკონს შორის?

ელექტრონული ლექსიკონი არსებული ნორმატიული ბაზის მიხედვით, მოქმედი ნორმების გათვალისწინებით შეიქმნა. ის არის მოქცეული ნორმატიულ ჩარჩოებში. ორთოგრაფიული ლექსიკონი, განმარტებითი ლექსიკონი და სხვა ნორმატიული გამოცემები, პირველ რიგში, სწორედ ნორმატიული ორიენტირებია, მეორე რიგში კი – სოლიდური წყაროები ჩვენი მონაცემთა ბაზისთვის.

რა თქმა უნდა, იყო შემთხვევები, როდესაც ჯგუფის წევრებს საკუთარი მოსაზრებები გვექონდა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და გვიჭირდა, ვთქვათ, ნორმების კრებულში წარმოდგენილ წესებთან შეგუება.

მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ის გამონაკლისები, რომლებიც არის დაშვებულ პირის პრეფიქსებთან დაკავშირებით: „რამდენიმე ზმნა თანამედროვე ქართულში ისეთი აგებულებისაა, რომ აქ დადგენილი წესების მიხედვით ამ ზმნებში პრეფიქსი ს- არ უნდა იხმარებოდეს. მიუხედავად ამისა, ამ ზმნებში ს- უნდა დარჩეს, რამდენადაც ს- აქ ფუძესაა შეხორცებული.

ეს ზმნებია: გასტანს... გასწევს... ასწევს... გამოსცემს... გასცემს“ [ნორმათა კრებული, 202].

ფიქრობთ, ფუძესთან შეხორცებაზე უფრო დამაჯერებელი შეიძლება იყოს ამ პრეფიქსების ფუნქციაზე მსჯელობა გასტანს და გასწევს ფორმების ანალიზისას (შდრ. გატანს ის შენ მას : გასტანს ის დიდხანს, გასწევს ის ქალაქისკენ : გაწევს ის მაგიდას); რაც შეეხება ასწევს (ის ყანწს) და გასცემს (ის ნებართვას) ფორმებს, ამ შემთხვევაში ამგვარი კონტექსტური ფუნქციური მიზანშეწონილობის საკითხიც უნდა მოიხსნას და თუ ამათ გამონაკლისებად მივიჩნევთ, ამგვარ გამონაკლისებს შეიძლება სხვა ფორმებიც შეუერთდეს (შესძლო, შესძრა, შესცვალა...).

ანწევს, გაწევს (ის მას), გასცემს მართებულ ფორმათა რიგში უნდა გაგვეშვა, მაგრამ საბოლოო ვერსიაში მაინც დავემორჩილეთ ნორმების მოთხოვნას და დავტოვეთ აქამდე არსებული წესი.

კიდევ ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, ნორმასთან ჩვენი კომპრომისისა; ნორმების კრებულში წერია: „...ერთადერთ სალიტერატურო ფორმებად უნდა მიჩნეულ იქნეს დაუხატავვარ, დაუხატავხარ, დამიხატავხარ, დავიხატავვარ ფორმები“ [ნორმები, 217].

ამ შემთხვევაში ჩვენი ლექსიკონის ფორმატი მოითხოვდა, რომ დაუხატახარ არასწორ ფორმად გაგვეშვა, ხოლო დაუხატავხარ მართებულად; ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს

კონფლიქტურია არსებულ ენობრივ რეალობასთან; მეორე მხრივ, **დაუხატავხარ** არასწორ ფორმად რომ გაგვეშვა, ამის უფლებას ნორმები არ იძლეოდა;

ასე რომ, ვარჩიეთ საერთოდ მოვრიდებოდით ამ მასალას, სხვა გზა არც გვექონდა.

როგორც აღინიშნა, ორთოგრაფიული ლექსიკონი განმარტებით ლექსიკონთან და თან. ქართ. ენის ნორმათა კრებულთან ერთად ჩვენი ლექსიკონის ნორმატიული ორიენტირი და საფუძველია.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს, რომ ავიღეთ თოფურია-გიგინეიშვილის ორთოგრაფიული ლექსიკონი, დავამატეთ გარკვეული რაოდენობის მასალა და მას მხოლოდ ელექტრონული სახე მივეცით?

რა თქმა უნდა, არა.

არცთუ იშვიათად ჩვენი გზები სხვადასხვა მიმართულებით მიდის:

საკვალიფიკაციო მითითებები და განმარტებები

ორთოგრაფიული ლექსიკონი ინფორმაციას გვანვდის სიტყვების მართებულ დანერგობაზე. საკვალიფიკაციო მითითებების (სამედ., მეფუტკრ., სპორტ...) დართვა ჭარბი ინფორმაციაა, რომელსაც არა აქვს შეხება უშუალოდ მართლწერის ნიუანსებთან, _ **ასეთია ჩვენი პოზიცია.**

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკმაოდ დიდია კატეგორია მომხმარებლისა, რომლისთვისაც, ვთქვათ, **ზმნისართ.** აბსოლუტურად გაუგებარი მითითებაა (განსაკუთრებით არაფრისმთქმელი, თუ იგი რატომღაც ისეთ სიტყვებთან გვხვდება, როგორცაა, მაგალითად, **კილოკავად**).

მით უმეტეს რთულდება საკვალიფიკაციო მითითებების ფუნქციაზე მსჯელობა, როცა ეს მითითებები არათუ ყველა სიტყვას არ დაერთვის, არამედ ერთი და იმავე სემანტიკური თუ თემატური ჯგუფის სიტყვებიდანაც ზოგს აქვს, ზოგს _ არა. ამის ნიმუშების მოძიება საკმაოდ ადვილია ორთოგრაფიული ლექსიკონიდან:

ჰანდა *ზოოლ.*

ჰუმა -----

ჰანთერა -----

დათვი (*წოდ. დათვო*) -----

კურდღელი (*კურდღლისა*) -----

ტურა (*ტურისა*) -----

ასევე:

დეზიდერატა (დეზიდერატისა) -----

დეზიდერატიული ლინგვ.

ნაზალიზაცია -----

ნაზალიზებული ლინგვ.

ნაზალობა -----

ნაზალური -----

მირონი (მირონისა) ძვ.

მაშინ ასეთივე კვალიფიკაცია მივცეთ ძალიან ბევრ სიტყვას: **ეკლესია, ჯვარი... დედა, მამა...** (ამ დროს, მაგ., **პიტიახში** ამ მითითების გარეშე).

ან თუ **საიასალო** ძველია, **სიასაულოს** რატომა არა აქვს ასეთივე კვალიფიკაცია?

ხანდახან საკვალიფიკაციო მითითება ერთობ გვაბნევს; მაგ, ეს:

მეთოდისტები რელიგ.

მეთოდისტი ----- _ ე. ი. მრ. რიცხვის ფორმით ეს სიტყვა **რელიგიურია**, მხ. რიცხვის ფორმით სხვა რამე.

ან ეს:

არა || არარა ზოოლ.

ასევე ზედმეტი გვკონია **განმარტება-კომენტარების** დართვა სიტყვათა (განსაკუთრებით გაუგებარი ნიშნით შერჩეული სიტყვათა) **ნაწილთან**.

ამის თაობაზე ორთოგრაფიული ლექსიკონის შესავალში წერია: „ლექსიკონი ორთოგრაფიულია, ე. ი. მასში წარმოდგენილია სიტყვებისა და მათი ფორმების ერთიანი, მართებულად მიჩნეული დაწერილობა. ამდენად, **ბუნებრივია, მასში არაა მოცემული სიტყვათა მნიშვნელობები**“ [ლექსიკონის აგებულება, 11].

აბსოლუტურად მისაღები პოზიციაა, თუმცა ეს პრინციპი ბოლომდე არ არის გატარებული: „**მაინც ზოგჯერ ლექსიკონში მნიშვნელობაზე მითითებაც გვხვდება**. ეს მაშინ, როცა ან ომონიმებთან გვაქვს საქმე, რომელთა ფორმაცვალება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, ან კიდევ მსგავსი სიტყვებია, რომლებსაც ხშირად ერთმანეთისგან ძნელად არჩევენ. მაგალითად **ბალი¹** (ბლისა) **ხილი** და **ბალი²** (ბალისა) **წვეულება, ციფრობრივი ნიშანი; ადრესატი წერილის მიმღები და ადრესანტი წერილის გამგზავნი**; ამავე მიზნით სიტყვას შეიძლება ახლდეს მითითება სათანადო დარგზე, რომელსაც ეს სიტყვა ეკუთვნის, ან სხვაგვარი რამ განმარტება: **კეგელი პოლიგრ., ფეხოსანი უმართებულთა, უნდა ქვეითი, კადრილი ცეკვა, ბაბუაწვერა მცენ., აკაკი** (აკაკმა, მიც. აკაკს) **ხე; შღრ. აღამიანის სახელი აკაკი** (აკაკიმ, მიც. აკაკის)“ [ლექსიკონის აგებულება, 11].

წარმოდგენილი ნიმუშებიდან, ჩვენი აზრით, მხოლოდ **ბალი** და **აკაკი** საჭიროებს კომენტარს, _ ეს იმიტომ, რომ **ბალი** ერთ შემთხვევაში **ფუძეკუმშვადია**, მეორეში _ არა, **აკაკი** ერთ შემთხვევაში **ი-ფუძიანია**, მეორეში _ თანხმოვანფუძიანი.

დანარჩენი მაგალითები ვნახოთ:

ფეხოსანი _ ამ სიტყვას წმინდა „ორთოგრაფიული შენიშვნა“ ახლავს (**ფეხოსანი** უმართებულოა, უნდა **ქვეითი**), _ ეს არ არის მნიშვნელობაზე მითითება.

კეგელი პოლიგრ., **კადრილი ცეკვა**, **ბაბუნჯერა მცენ.**, _ ამათი კომენტარი უფრო საკვალიფიკაციო მითითებაა, ვიდრე მნიშვნელობაზე მითითება, მაგრამ არც ამის საჭიროებაა, კომენტარებს ამ სიტყვათა ფორმანარმოებასთან არანაირი კავშირი არა აქვს.

პარონიმების (ამ შემთხვევაში **ადრესატი** _ **ადრესანტი**) მნიშვნელობათა გარკვევა სხვაგან შეიძლება (ქეგლ-ში, პარონიმების ლექსიკონში) აქ კი სიტყვების სწორი დანერგვა უნდა ჩანდეს. და თუ მაინც ვეცდებით მომხმარებლის დაკვალიანებას, მაშინ ყველა პარონიმს უნდა ამგვარი კომენტარი და არა ერთ ნაწილს. კომენტარის გარეშეა დარჩენილი, მაგ.;

ასპირანტი _ **ასპირატი** (*ბგერა*)

აპარატი _ **აპარატურა**...

ერთი სიტყვით, დასაშვებია და **აუცილებელი** მნიშვნელობაზე მითითება თუ გარკვეული კომენტარის დართვა იმ შემთხვევაში, როდესაც განსხვავებული შინაარსისა და იდენტური ფორმის სიტყვები (**ომონიმები**) ფორმაცვალებისას განსხვავებული სურათს აჩვენებენ:

მაგ.: **ბალი**: 1. ბლის კურკა; 2. **ბალის გამართვა**; **მერანი**: 1. მერნის ჭენება 2. „მერანის“ ავტორი; **წელი**: 1. წელის ტკივილი 2. წლის ბოლო; **ხანი**: 1. დიდი ხნის 2. ალა-მაჰმად ხანის მმართველობა... **ბარი**: 1. ბარში შევიდა; 2. ბარიში ცხოვრობს...

ვალი ასეა წარმოდგენილი ორთოგრაფიულში:

ვალი (ვალიმ) ვილაიეთის მმართველი თურქეთში

აქვე უნდა იყოს და არ არის წარმოდგენილი **ვალი**² (ვალდებულება, მოვალეობა...), რომელსაც განსხვავებულად აქვს მოთხრობითი (**ვალმა**).

მაგრამ ზედმეტია კომენტარი ომონიმებშიც კი, თუ მათ ფორმაცვალების წესი, პარა-დიგმატული პარამეტრები ერთნაირი აქვთ:

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, **ძილი ძ** ასოს სახელწოდებაა თუ ფიზიოლოგიური მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვა; ასევე, _ **წილი წ** ასოს სახელწოდებაა თუ მწერი ან კომერციული ურთიერთობის ფორმა ადამიანებს შორის; **ბანი** ქართული ანბანის **ბ** ასოს სახელწოდებაა თუ დატკეპნილი მიწის სწორი (ბრტყელი) სახურავი ნაგებობისა; **ჯანი** ქართული ანბანის **ჯ** ასოს სახელწოდებაა თუ ადამიანის ღონე, ძალა; **განი** ქართული ანბანის **გ** ასოს სახელწოდებაა თუ სიგანე; **კანი** ქართული ანბანის **კ** ასოს სახელწოდებაა თუ ადამიანის ან ცხოველის სხეულის გარეთა საფარი; **რემა** ლინგვისტური ტერმინია თუ ცხოველთა ჯოგის აღმნიშვნელი სიტყვა.

ზოგჯერ სიტყვის მხოლოდ ერთი მნიშვნელობას გვთავაზობენ და ასე გამოდის, რომ **ყირიმი** მხოლოდ *თოფია*, **ვინჩესტერიც** მხოლოდ *თოფია*, **თურქული** მხოლოდ *ავამყოფობაზე* შეიძლება ითქვას, **ლაბრადორი** მხოლოდ *მინერალია* ან **რკუ** (?) || **კუ ჭადრაკის ფიგურაა**.

ტამბამი ცეკვაა, მაგრამ მას აქვს სხვა მნიშვნელობაც: სარტყმელი მუსიკალური საკრავი, გონგის ნაირსახეობა (უცხო სიტყვათა ლექსიკონი)...

საკვალიფიკაციო მითითებების მსგავსად, ერთი და იმავე სემანტიკური თუ თემატური ჯგუფის სიტყვებიდან ზოგს აქვს კომენტარი, ზოგს _ არა:

პენი ფულია

პენსი (პენსს) ----- ?

ბულდოგი -----?

დოგი ძაღლის ჯიშია

დობერმან-პინჩერი ძაღლის ჯიშია

სენ-ბერნარი ძაღლის ჯიშია

სეტერი ----- ?

პოინტერი ----- ?

პუდელი ----- ?

ტერიერი ზოოლ.

პანდა ზოოლ.

პუმა -----?

პანთერა -----?

დათვი (წოდ. დათვო) -----?

კურდღელი (კურდღლისა) -----?

ტურა (ტურისა) -----?

ხანდახან საკვალიფიკაციო მითითება ერთობ დამაბნეველია; მაგ., ეს:

მირონი (მირონისა) ძვ. _ მაშინ ასეთივე კვალიფიკაცია მივცეთ ძალიან ბევრ სიტყვას:

ეკლესია, ჯვარი... დედა, მამა...

გნაისი (გნაისს) ჰეტროგრაფ.

თვითონ ეს სიტყვა (გნაისი) არ არის არც ძველ და არც ახალ ქველ-ში. ძველ ორთ.-ში მას საკვალიფიკაციო მითითება არ ჰქონდა, ახალში დაემატა, მაგრამ ეს შემოკლებული სიტყვა _ ჰეტროგრაფ. არ არის შემოკლებულ სიტყვათა ნუსხაში და ვერც სხვაგან მივაკვლიეთ. ამ დროს, ის არის აბსოლუტურად ზედმეტი და შესაბამისი დარგის სპეციალისტმა, ვინც მისი მნიშვნელობა იცის, ამის რკვევის გარეშე შეიძლება ნახოს, როგორ იწერება ეს სიტყვა (გეოლოგიური ტერმინია: გნაისი [გერმ. Gneiss] _ ქანი, რომელიც შედგება, უპირატესად, კვარცის მინდვრის შპატებისა და ქარსისაგან).

ნამდვილად ვერ ვხედავთ **განმარტებების** წარმოდგენის აუცილებლობასა და საფუძველს ამ სიტყვების წარმოდგენისას და, როგორც აღვნიშნეთ, ყველა სხვა შემთხვევაშიც:

პერიტონიტი მუცლის ღრუს ანთება;
რიგსდაგი დანიის პარლამენტის სახელწოდება
სტორტინგი ნორვეგიის პარლამენტი
ფორინ-ოფისი ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელწოდება
კადრები მრ. (დანესებულებების, წარმოების, სამხედრო ნაწილების ძირითადი შემადგენლობა), _
ჯერ ერთი, ეს განმარტებაა, მეორე _ მრ. რიცხვი რატომ არის აუცილებელი, მესამე _ სხვა
მნიშვნელობაა აქვს, რომელიც ქვევით არის ცალკე მხოლოდითის ფორმით წარმოდგენილი:
კადრი (კინოფილმისა)

შიფონიერი ტანისამოსის კარადა
ბოტი (მრ. ბოტები) მაღალყელიანი კალოში; მამალი თხა
ტალავერი (ტალავერისა) თალარი
სამუმი ცხელი ქარი
ქარქვეტი ხმელი კაჭაჭი
ძუკნა ძუ ძალდი
უმზრახი (უმზრახად) დამდურებული
ტერმიტი (მწერი)
სეგიდილია ცეკვა
ბოლოკარკაზი ფრინგ.
დრადედამი ქსოვილია
დრაივი სპორტი
ბუა (ნათ. ბუას) საფრთხობელა რამ ბავშვის შესაშინებლად

აქ საერთოდაც თარგმანი გვაქვს:
პოსტსკრიპტუმი (პოსტსკრიპტუმმა) (ლათ. postscriptum) შემოკლებით P.S. (= დანერლის
შემდეგ) ხელმოწერილი წერილის ბოლოს მინაწერი
პოსტფაქტუმი ლათ. post factum (= გაკეთების შემდეგ; მომხდარის შემდეგ)...
კომონიმი სოფლის სახელწოდება
სილანს! (ფრანგ.) სილენციო! (იტალ.) სიჩუმე!

ზოგჯერ კომენტარ-განმარტების დართვით გადათარულია ამა თუ იმ ფორმის
პრობლემატურობა, არ არის, ინფორმაცია, ვთქვათ, ფუძის შესახებ; ქვემოთ წარმოდგენილი
სიტყვები ი-ფუძიანებია, მაგრამ ამ ინფორმაციის ნაცვლად სხვა რამეს გვთავაზობენ:

ზლოტი ფულის ერთეულია პოლონეთში
კეგლი თამაშობა
კონფეტი მრგვალი დაჭრილი ფერადი ქაღალდი, მაგრამ: კანფეტი ტკბილეული.

არ ჩანს სათანადო გრამატიკული ინფორმაცია ფუძის შესახებ: ხმოვანფუძიანია ის თუ
თანხმოვანფუძიანი):

ვიზავი ----- ?
ვისტი -----?
რეპერი -----?

მდრ.
ვისკი (ვისკიმ)
ვიკარი (ვიკარიმ)

„პარალელიზმები“.

სინამდვილეში განმარტების ნაირსახეობაა პარალელურ ფორმებად წარმოდგენილი სინონიმები:

რადიოკომენტარი || რადიომიმოხილვა
რადიოკომენტატორი || რადიომიმომხილველი
დისწული || დისშვილი
სახლეჩი ატამი || საპობი ატამი
გრაფინია (ნათ. გრაფინიას) || გრაფის მეუღლე
რიუკზაკი || ზურგჩანთა
ჰიპოპოტამი || ბეჰემოთი
კიდურწერილობა || აკროსტიქი
(პორტი ||) ნავსადგური და სხვ.

ამ ლექსიკურ წყვილთა ადგილი სინონიმთა ლექსიკონშია.

ესენი პარალელიზმები კი არა, სხვადასხვა სიტყვებია. ჩვენ ასეთ წყვილებს ვშლით და ცალ-ცალკე ერთეულებად ვუშვებთ.

ზოგჯერ არამხოლოდ ფორმით, შინაარსითაც განსხვავებული სიტყვებია პარალელიზმებად მიჩნეული:

[ტაქსომოტორი ||] ტაქსი
[როკირება ||] როქი ჭადრ.

ბია (ბიისა) გარეული კომში

მდრ.:

[ბია ||] კომში

(თუ ბია გარეული კომშია, მაშინ ბია და კომში პარალელური კი არა, სხვადასხვა სიტყვები გამოდის).

საზრიანი [|| საზრისიანი]
საზრიანობა [|| საზრისიანობა]
სისტემატური || სისტემური
სისტემატურობა || სისტემურობა

და პირიქით:

სისტემური || სისტემატური
სისტემატურობა || სისტემურობა

პარალელური ფორმების ცალეზად, ერთი მხრივ, ბარბარიზმებია წარმოდგენილი:

ჰანდბოლი || ხელბურთი
ცეხი || საამქრო
ჩოგბურთი || ტენისი
[ტენისი ||] ჩოგბურთი
[კორნერი ||] კუთხური
(ურაგანი ||) გრიგალი
კასკა || ჩაჩქანი, ზუჩი
[დატა ||] თარილი
გიმნასტი || ტანმოვარჯიშე
გიმნასტიკა || ტანვარჯიში
[ეგზამენი ||] გამოცდა
[ეგზამინატორი ||] გამომცდელი

მეორე მხრივ, ბარბარიზმები უკუგდებულა:

[ბარბარისი კი არა] კონახური
[ვატერპოლისტი კი არა] წყალბურთელი
[ვატერპოლო კი არა] წყალბურთი
[როტა კი არა] ასეული
[ფუტბოლი კი არა] ფეხბურთი
[ფუტბოლისტი კი არა] ფეხბურთელი
[ტრუპა კი არა] დასი
[კონტრატაკა კი არა] კონტრიერიში

საერთოდ, ალბათ არ არის სადავო, ბარბარიზმს ქართული შესატყვისი ვარჩიოთ:

ორთ.: გრანატა (გრანატისა)

შდრ.

ჩვენთან: გრანატა მცდარი ფორმების რიგშია, ხელყუმბარა _ სათანადო სწორი ფორმების რიგში.

ასევე ვარჩიეთ კლაპანს სარქველი...

ბოშა (ბოშისა, მრ. ბოშები) || აწინკანი, ციგანი

რამდენად არის ეს ფორმები პარალელური? ეს არის სინონიმები (სინონიმური განმარტებაა); აწინკანი და ციგანი კიდევ სხვა საკითხია.

ცალკეა: ციგანი (ციგნისა)

[უატი ||] ვატი ფიზ.

[უატმეტრი ||] ვატმეტრი

[უატმზონი (უატმზომმა) ||] ვატმზომი

[უატსაათი (უატსაათი) ||] ვატსაათი

ბუნებრივია, ამ შემთხვევაში დამკვიდრებული ვატი, ვატმეტრი, ვატმზომი, ვატსაათი წარმოვადგინეთ, ხოლო უატი და მსგავსი ფორმები მცდარ ვარიანტებადაც კი არ განვიხილეთ არააქტუალურობის გამო.

პარალელიზმებად, ჩვენი აზრით ასეთი სახის წყვილები უნდა ჩაითვალოს: ცისფერთვალა || ცისფერთვალეზა, წვერცანცარა || წვერეცანცარა, ჩამკვეტი || ჩამკვეტავი, პამიდორი || პომიდორი, ულვაშებიანი || ულვაშიანი...

კუმშვის და კვეცის საკითხი

„თუ ლექსიკონში შეტანილ თანხმოდანფუძიან სახელს ფრჩხილებში ნათესაობითი ბრუნვის ფორმა არ ახლავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სახელს ფუძე არ ეკუმშება“ [ორთოგრაფიული ლექსიკონი, ლექსიკონის აგებულება, 13].

ასეთია პრინციპი და ერთგვარი ინსტრუქცია. ყველაფერი გასაგებია და ნათელი.

„მაგრამ ზოგიერთ ასეთ სახელს განზრახ აქვს მიწერილი ნათესაობითი ბრუნვის შეუკუმშავი ფორმა: ანბანი (ანბანისა), ფრინველი (ფრინველისა), ცხოველი (ცხოველისა)...“ [იხ. ორთოგრაფიული ლექსიკონი, ლექსიკონის აგებულება, გვ. 13].

ეს კი იმას ნიშნავს, რომ შერჩეული პრინციპი დაირღვა, ანუ, პრინციპი ამ შემთხვევაში, უბრალოდ, დაიკარგა.

მოგეხსენებათ, კუმშვის მოსახდენად აუცილებელია სათანადო პირობები:

ა) VC სტრუქტურის სუფიქსი (ნათ., მოქმ., ვით. ბრუნვის ნიშნები: -ის, -ით, -ად; მრავლობითის -ებ);

ბ) ფუძის აუსლაუტის, ანუ სარედუქციო სეგმენტის სტრუქტურა უნდა იყოს ასეთი: VC, ანუ, **ხმოვანი პლუს სონორი** (აგრეთვე ვ).

ეს არის კუმშვისთვის **აუცილებელი**, მაგრამ **არასაკმარისი პირობა**; დიდძალი **მასალაა**, სადაც ეს პირობები არის, მაგრამ **კუმშვა არ ხდება**.

თუ გვაქვს კუმშვის პოზიცია, მაგრამ სიტყვა უკუმშველია **მკვლელი** (მკვლელისა), **მირონი** (მირონისა), **(ფლიგელი** (ფლიგელისა), **უნივერსალი** (უნივერსალისა), **კომენტარი** (კომენტარისა), **კაფელი** (კაფელისა), **კაბადონი** (კაბადონისა)..., მაშინ ამ მანიპულაციას გარკვეული გამართლება კიდევ შეიძლება გამოვუძებნოთ (მიუხედავად იმისა, რომ ქართულის პრაქტიკულად მცოდნე არც ერთ ადამიანს არ შეიძლება მოუვიდეს ამგვარი შეცდომები: **მკვლისა, მირნისა, ფლიგლისა, უნივერსლისა, კომენტრისა, კაბადნისა, კაფლისა...**;

თუმცა ამ შემთხვევაშიც ერთ სისტემაში უნდა მოექცეს ყველა სიტყვა, რომელსაც **მსგავსი სტრუქტურა აქვს**.

მაგრამ როცა კუმშვისთვის თეორიული საფუძველიც კი არ არსებობს, ნათესაობითი ბრუნვის ფორმით მანიპულირება არ არის მიზანშეწონილი. ძნელი სათქმელია, რას ემსახურება ნათესაობითის ფორმის ჩვენება ამგვარ მაგალითებში::

მაიორი (მაიორისა), **ნაღები** (ნაღებისა), **წარაფი** (წარაფისა), **წელიწადი** (წელიწადისა), **წუპაკი** (წუპაკისა), **თაბახი** (თაბახისა)...

მეორე მხრივ, **გრამატიკული კომენტარის გარეშე დარჩენილ სახელებში შეიძლება ფუძეკუმშვადებიც აღმოჩნდეს:**

- ვაგონრესტორანი -----
- შემთავსებელი -----
- შემასქელებელი -----
- შეუბნეველი -----
- ძირგამომპალი ----- შდრ. ძირდამპალი (ძირდამპლისა)
- რეჰანისფერი ----- შდრ. შინდისფერი (შინდისფრად)...

- **აღსანიშნავია, რომ კუმშვის საკითხი ხანდახან განსხვავებულად წყდება ორთოგრაფიულსა და ქეგლ-ში; მაგ.:**

ორთ.
ხელთათმანი (ხელთათმნისა)
ხელთათმნიანი
აშარი (აშრისა)
გიდელი (გიდლისა)
ძილმღვიძარე (ძილმღვიძრად)
შავგვრემანი [|| შავგვრემანი]

ქეგლ
ხელთათმანი (ხელთათმანისა)
ხელთათმანიანი
აშარი (აშარისა)
გიდელი (გიდელისა)
ძილმღვიძარისა
შავგვრემანი (შავგვრემნისა)

ჩურჩხელისა
ხევისბრისა
ხევისბერობა

ჩურჩხლისა
ხევისბ[ე]რისა
ხევისბ[ე]რობა

ჩამოთვლილი ნიმუშებიდან განმარტებითი ლექსიკონის შემოთავაზებული **ჩურჩხლის** ფორმაა ჩვენთვის მიუღებელი (კუმშვად-კვეცადი გამოდის ეს სახელი), სხვა შემთხვევაში, ქეგლ-ის პოზიცია უფრო მისაღები გვეჩვენება და მას მივყვებით.

ორთოგრაფიულში ფუძეკუმშვადია **აშარი**, **გიდელი**: აშარი (**აშრისა**), გიდელი (**გიდლისა**) – ქეგლ-ში ეს ფუძეები არ იკუმშება, ჩვენც ქეგლ-ს მივყვებით.

• **როგორია სიტუაცია ხმოვანფუძიანი სიტყვების წარმოდგენისას?**

„ხმოვანფუძიან ა-ზე და ე-ზე დაბოლოებულ სახელებს, რომელთაც ბოლოკიდური ა და ე არ ეკვეცებათ, ფრჩხილებში მიწერილი აქვთ ნათესაობითის ფორმები, ასე: **ენძელა** (ნათ. ენძელას), **კაფანდარა** (ნათ. კაფანდარას), **ბაქია** (ნათ. ბაქიას)... თუ ა-ზე და ე-ზე გათავებული სახელების ბრუნვის ფორმები არაა ნაჩვენები, ივარაუდება, რომ ისინი ფუძეკვეცადები არიან: **მელოდია**, **დამბაჩა**, **საპირისწამლე**, **მესაფლავე**, **მემატიანი**“.

ფუძეუკვეცელობას ვაფიქსირებთ ფრჩხილებში, ფუძეკვეცადი სიტყვები გრამატიკული კომენტარის გარეშე რჩება, – ასეთია პრინციპი, გასაგები და ნათელი.

მაგრამ აქაც არ ტარდება პრინციპი ბოლომდე: „**ზოგჯერ მაინც განზრახ ნათესაობითი ბრუნვის ფორმაცაა ნაჩვენები: ბელურა** (ბელურისა, ბელურები)...“ [ორთოგრაფიული ლექსიკონი, ლექსიკონის აგებულება, გვ. 13].

რა უნდა გააკეთოს მომხმარებელმა, რომელსაც გრამატიკა დიდად არ ეპიტნავენა და, მაგალითად, ასეთ სიტყვებს ნახავს გვერდიგვერდ:

მარტოკა (ნათ. მარტოკას)
მარტომუშა
მარტორქა
მარტოხე (მარტოხისა)
მარტოხელა (ნათ. მარტოხელას).

ამ ხუთი სიტყვიდან ორი ფუძეუკვეცელია (რაც დაფიქსირებულია ფრჩხილებში), დანარჩენი სამი ფუძეკვეცადია, მაგრამ ამ გარემოებას ერთ შემთხვევაში ექცევა ყურადღება, დანარჩენ ორში – არა.

ან რა ნიშნით გამოირჩევა ერთი სიტყვა ანალოგიური სტრუქტურის მქონე სხვა სიტყვათაგან ამგვარ შემთხვევებში:

სიმუავე
სიმრავლე
სიმრგვალე (სიმრგვალისა)

სიმრთელე
სიმრუდე
სიმსუბუქე

თვითონ პრინციპმა (რომ ფრჩხილებში სიტყვის ფუძეუკვეცელობა ფიქსირდება) რელევანტურობა დაკარგა. ამის მაგალითი ბევრია:

მომამავე (მომამავისა)
მომამბე (მომამბისა)
მოალერსე (მოალერსისა)
მოაზროენე (მოაზროენისა)
მობაასე (მობაასისა)
მობანავე (მობანავისა; მობანავეები)
მობაჯაჯე (მობაჯაჯისა)...

შდრ.:
მოადგილე
მოახალშენე
მოახლე
მობენეფისე
მოგიზგიზე

„ნათესაობითი ბრუნვის ფორმები აგრეთვე არაა ნაჩვენები ო-ზე და უ-ზე გათავებული ფუძეების მქონე უკვეცელ სახელებთან: ლობიო, სამკერვალო, მარაო, ბოჭკო... ბლუ, რუ...“, _ წერია წიგნში [ორთოგრაფიული ლექსიკონი, ლექსიკონის აგებულება, გვ. 13];
თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ვხვდებით საპირისპირო მაგალითებს:

სახელო (ნათ. სახელოს, სახელოები მრ.)
აბანო (ნათ. აბანოს)
ალო (ნათ. ალოს)
ამეთვისტო (ნათ. ამეთვისტოს)
ახო (ნათ. ახოს)
გალო (ნათ. გალოს)
გარემო (ნათ. გარემოს)
ცერეცო (ნათ. ცერეცოს)
ძამიკო (ნათ. ძამიკოს)
ძიუდო (ნათ. ძიუდოს)
წალო (ნათ. წალოს)
წალურჯო (ნათ. წალურჯოს)
წებო (ნათ. წებოს)

წეკო (ნათ. წეკოს)
წენგო (ნათ. წენგოს)
წერო (ნათ.წეროს)
წიბო (ნათ. წიბოს)
წიკომაკო (ნათ. წიკომაკოს)
წყარო (ნათ. წყაროს)
ჭეო (ნათ. ჭეოს)
ჭერხო (ნათ. ჭერხოს)
ჭყიმპო (ნათ. ჭყიმპოს)
ხარაჩო (ნათ. ხარაჩოს)
ხაჭო (ნათ. ხაჭოს)
ხარშო (ნათ. ხარშოს)
ხარო (ნათ. ხაროს)
ხბო (ნათ. ხბოს)
ხელეჩო (ნათ. ხელეჩოს)
ხელსაწყო (ნათ.ხელსაწყოს)
ხენდრო (ნათ.ხენდროს)
ხვითო (ნათ. ხვითოს)
ხორგო (ნათ. ხორგოს)
ხოჭო (ნათ. ხოჭოს)
ხურო (ნათ. ხუროს)
ჯადო (ნათ. ჯადოს)
ჯიბლიბო (ნათ. ჯიბლიბოს) ცალკეა კიდევ – ჯიჯლიბო (ნათ. ჯიჯლიბო)
ჯვალო (ნათ. ჯვალოს)
ჯორკო (ნათ.ჯორკოს)
ჯოჯო (ნათ. ჯოჯოს)

ბუ (ნათ. ბუს)
გნუ (ნათ. გნუს)
ცრუ (ნათ. ცრუს)
ძუ (ნათ. ძუს)
ძუძუ (ნათ. ძუძუს)

კუმპისა და კვეცის საკითხი კარგად გვარდება იმ შემთხვევაში, თუ მივყვებით ქეგლ-ის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ყველა ბრუნებად სიტყვას აქვს დართული ნათესაობითი ბრუნვის ფორმა.

ჩვენს შემთხვევაში, როგორც ზევით აღინიშნა, ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციას (კუმპა-უკუმპელობის სადემონსტრაციოდ) ითავსებს ვითარებითი (რომელსაც სხვა დატვირთვაც აქვს),

ხოლო კვეცის თვალსაზრისით აქტუალური შემთხვევებისთვის ნათესაობითი რჩება უალტერნატივოდ.

• ცალკე უნდა ვიმსჯელოთ -ა სუფიქსთან დაკავშირებით:

როდის არ იკვეცება ფუძის ბოლოკიდური ა?

როცა მას აქვს ფუნქცია, როცა ამ სუფიქსზეა დამოკიდებული სიტყვის სემანტიკური ნიუანსები და მისი მოკვეცით ეს ნიუანსები დაიკარგება.

ამ წესის გათვალისწინებით სავსებით ლოგიკურია, როდესაც ფუძეკვეცადებად არის ორთოგრაფიულ ლექსიკონში წარმოდგენილი სიტყვები:

მაკაკა (მაკაკისა)

გორილა (გორილისა)

პანთერა (პანთერისა)

მედუზა (მედუზისა)

სკვინჩა (სკვინჩისა)

მანანა (მანანისა)

ფარვანა (ფარვანისა)

მარაქა (მარაქისა)

ქოსა (ქოსისა)

ქუნთრუშა (ქუნთრუშისა)

ჭოჭინა (ჭოჭინისა)

ხარტა (ხარტისა)

ხასა (ხასისა)

ტოგა (ტოგისა)

ნირვანა (ნირვანისა)

შვითა (შვითისა)

გვირილა (გვირილისა)

უკომენტაროდაა წარმოდგენილი შემდეგი სიტყვები (რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი რატომღაც ფუძეკვეცადებად უნდა მივიჩნიოთ):

პროსტატა

პოლაგრა

პანდა ზოოლ.

პუმა

რეგატა

სინაგოგა

ფიბრა და სხვ.

რთულია იმის ახსნა, რა უშლის ხელს ა-ს მოკვეცას შემდეგ მაგალითებში:

სტიუარდესა (სტიუარდესას) შდრ. ბალერინა (ბალერინისა)

ამირა (ამირას) შდრ. ხოჯა (ხოჯისა)

მეგერა (მეგერას)

ნიმფა (ნიმფას)

ნიშა (ნიშას)

ჭიანჭველა (ჭიანჭველას)

მურწა (მურწას)

ობობა (ობობას)

ჯაფარა (ჯაფარას)

ნიბლია (ნიბლიას)

